დაიჯესტი

21 - 26 მარტი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

გერმანია

24 მარტს, გერმანიის ფედერალურმა პროკურორმა ორ ყოფილ ჯარისკაცს ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის მცდელობისთვის, რომელიც ჩართული იქნებოდა იემენის სამხედრო კონფლიქტში, ბრალი წაუყენა.

თურქეთი

ირანული მედია თურქეთს ტერორისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებს. ამის შესახებ, ინფორმაცია 'Fars News' - ის ერთ-ერთ სტატიაშია, სადაც თურქეთი და მისი წამყვანი პარტია სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP) ტერორისტების მხარდაჭერაში არის დადანაშაულებული.

სირია

23 მარტს, სირიაში ქურთული წარმოშობის ძალებმა, რომლებიც 2019 წელს სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას დაეშის თვითგამოცხადებული „ხალიფატის" წინააღმდეგ, მსოფლიო გააფრთხილეს, რომ მხარდაჭერის ნაკლებობა ჯიჰადისტების გაძლიერებას უწყობს ხელს.

იემენი

23 მარტს, იემენში, საპორტო ქალაქ ადენში ავტომობილის აფეთქებას იემენის სამხედრო ლიდერი და მისი სამი წევრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ნიგერია

ნიგერიის შეიარაღებული ძალების განაცხადებით, ოპერაცია Desert Sanity-ის შედეგად, ბორნოს შტატში ლიკვიდირებულია გაურკვეველი რაოდენობის ბოკო-ჰარამისა და დაეშის ტერორისტები მებრძოლები.

სომალი

23 მარტს, სომალიში, უსაფრთხოების ძალებმის მიერ ლიკვიდირებულ იქნა ორი

შეიარაღებული თავდამსხმელი, რომლებიც მოგადიშოსი საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად სამხედრო ბაზაზე შეღწევას ცდილობდნენ.

პაკისტანი

21 მარტს, შეიარაღებულმა მებძოლები თავს დაესხნენ უსაფრთხოების ძალებს ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი ჯარისკაცი, სამი მოქალაქე და 4 მეაომბოხე.